

რა არის სპორტული ნარკოტიკი?

სპორტულ ნარკოტიკებს ანუ ანაბოლურ სტეროიდებს უწოდებენ მამაკაცის სასქესო ჰორმონებიდან სინთეზური გზით მიღებულ ნივთიერებებს. ისინი განაპირობებს ჩონჩხის კუნთების ზრდას და მამაკაცის სექსუალური მახასიათებლების განვითარებას.

მოკლე ისტორია

ანაბოლური სტეროიდების გამოყენება დაიწყო XX საუკუნის 30-ანი წლებიდან სხეულის წონის დაკარგვის სამკურნალოდ. ამ თვისებიდან გამომდინარე, მათი მოხმარება გავრცელდა ე.წ. *bodybuilding* -ის გამო, ჩვენს ქვეყანაში მას კულტურიზმს და ათლეტიზმს უწოდებენ. ამ თვალსაზრისით გამოსაყენებლად 100-ზე მეტი პრეპარატია შექმნილი. ზოგიერთ ქვეყანაში მათი უმრავლესობის ბრუნვა შეზღუდულია.



გამოშვების ფორმები

ანაბოლური სტეროიდები არსებობს ტაბლეტებისა და ინექციის სახით.



რატომ იღებენ სპორტულ ნარკოტიკებს?

ბევრ სპორტსმენ ფანატებს სურთ საუკეთესონი იყვნენ თავიანთ სფეროში და, რაც შეიძლება მალე ჰქონდეთ უნაკლო სხეული. ზოგიერთი ვარჯიშის დროს იღებს სპორტულ ნარკოტიკებს, რადგან ფიქრობს, რომ მიზანს ასე უფრო სწრაფად მიაღწევს.



ანაბოლური სტეროიდები ექვემდებარება კანონს სამკურნალო საშუალებების შესახებ. ბევრი მათგანი საჭიროებს რეცეპტს. რეცეპტის გარეშე მისი ფლობა და გაცემა დასჯადი ქმედებაა.

ხდები თუ არა სტეროიდებზე დამოკიდებული?

მომხმარებელს, რომელიც დიდ ხანია იღებს ამ პრეპარატს, უნდა მის მიმართ მოთხოვნილება და უჭირს თავის დანებება. მას ანასიათებს ფიზიკური მოთხოვნილება. ამავე დროს მისთვის დამახასიათებელია დეპრესიების აღმოცენება.

ნარკოტიკების შერევა ერთმანეთში - ნარკოტიკული კოქტეილი

თუ ანაბოლურ სტეროიდს მასტიმულირებულ ნარკოტიკულ საშუალებებს შეურევ, როგორცაა, კოკაინი, მივიღებთ ნარკოტიკულ კოქტეილს, რაც შეიძლება მომაკვდინებელი იყოს!

სასურველი გარეგნობა ძვირად გიჯდება

ყველა სპორტული ნარკოტიკული საშუალება საშიშია. ანაბოლური სტეროიდი თავისი მოქმედებითა და სტრუქტურით მამაკაცურ ჰორმონს ტესტოსტერონს ენათესავება. მისი ნანგრძლივი მიღება იწვევს საშიშ ანდროგენურ გართულებებს:

ზემოქმედება სხეულზე - ქალები ხდებიან მამაკაცურები, უპატარავდებიან მკერდი, უბოხდებიან ხმა, უნდათ თმის ზრდა და კარგავენ შვილოსნობის ფუნქციას. მამაკაცებზე მათ შეიძლება საწინააღმდეგო ეფექტი ჰქონდეთ: გაეზარდოს მკერდი და ა.შ. ანაბოლური სტეროიდები იწვევს ღვიძლის დაავადებებს, ქოლესტერინის მომატებას, გულის დაზიანებას, ამცირებს ერექციის ნანგრძლივობას და ტემპერამენტს.

ინფექცია

საერთო შპრიცის გამოყენებას მოსდევს ისეთი დაავადებები, როგორცაა შიდსი და B და C ჰეპატიტები.



გაფრთხილება!

თუ ადამიანი არ არის ზრდასრული და იღებს ანაბოლურ სტეროიდებს, შეიძლება შეუჩერდეს ზრდა.

თუ რაიმე პრობლემები შეგექმნა, სასწრაფოდ მიმართე პროფესიონალებს!